


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირტავა
28. 10 „2013 წელი

2 გვ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტრო

აუდიტის ანგარიში № 9/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 30 ივნისი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უპირობო მოსაზრება	4
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	5
არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა	5
სამივლინებო თანხების ხარჯვის მდგომარეობა.....	5
რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები.....	6
შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა	7
2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	10
დაგეგმილი გადასახდელების მაჩვენებლების შესრულება	10
სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდები	16
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ტრანსფერის მაჩვენებლების შესრულება	17
დავალიანების დაფარვისა და ახალი დავალიანებების წარმოქმნის მდგომარეობა	17
ანგარიშგების ფორმები	19

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის II კვარტლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსის, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების, რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის II კვარტლის ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დანიშნულებისამებრ წარდგენაზე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე“ მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე“ მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის II კვარტლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმოდგენილი ფინანსური

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს
ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

**არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსავლების
აღრიცხვის მდგომარეობა**

2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობებში ძირითადი
აქტივების რეალიზაციის სახით ფიქსირდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამების
ფარგლებში, თანაგადახდის პრინციპით, პროგრამით მოსარგებლე პირთა მიერ
გადახდილი 394,9 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლების კუთხით
განხორციელებული შემოსავლების შესახებ სახაზინო ამონაწერის შესაბამისად, აღნიშნული
გადახდები აღრიცხულია „შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის“
გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებში, რაც საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის
შესაბამისად¹ არ წარმოადგენს ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ
შემოსავალს, თუმცა აღსანიშნავია, რომ „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის
ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2009 წლის N241 ბრძანებით დამტკიცებულ აფხაზეთისა და აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების შესრულების ანგარიშგების ფორმაში
(დანართი N2); „შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის“ რეალიზაციით
მიღებული შემოსავლის აღრიცხვის შესაბამისი პარაგრაფი არ არის გათვალისწინებული.

სამივლინებო თანხების ხარჯვის მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში მივლინების შესახებ ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების
გამო, საზღვარგარეთ მივლინების მუხლით არამიზნობრივადაა გახარჯული 0,9 ათასი
ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთვარობის თავმჯდომარის 2013 წლის 18
თებერვლის N9 ბრძანების შესაბამისად, ერთობლივი კომისიის სხდომაზე დასწრების
მიზნით, განისაზღვრა სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც 2013 წლის 25
თებერვლიდან 2 მარტამდე უნდა ყოფილიყო მივლინებული ქ. კატოვიცეში. დელეგაციის
შემადგელობაში შედიოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის

¹ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“ პარაგრაფი 31224

მინისტრის პირველი მოადგილე დავით ბალაძე, რომლის 2013 წლის 20 თებერვლის მოხსემებითი ბარათის საფუძველზე სს „თურქ ჰავა ოილლარი“-ის ბათუმის ფილიალს და ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტულ სააგენტოს“, სამგზავრო ბილეთების დაჯავშნისათვის წინასწარ გადაერიცხათ თანხები შესაბამისად 0,5 ათასი ლარისა და 0,9 ათასი ლარის ოდენობით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 22 თებერვლის N10 ბრძანებით, მივლინების შესახებ ზემოთ აღნიშნულ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, მისავლინებელ პირთა სიიდან ამოღებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი, რის გამოც დაჯავშნისათვის გადახდილი თანხებიდან უკან დაბრუნებული იქნა სს „თურქ ჰავა ოილლარი“-ის ბათუმის ფილიალზე გადახდილი 0,5 ათასი ლარი ხოლო 0,9 ათასი ლარის დაბრუნება, ბილეთის შეძენის პირობების გათვალისწინებით ვერ მოხერხდა. შესაბამისად 0,9 ათასი ლარი გახარჯულია არამიზნობრივად.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით 2013 წლის 6 თვეში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 132253,2 ათასი ლარით განისაზღვრა.


(ათასი ლარი)

	შემოსულობები	
შემოსავლები		132253,2
გადასახადები		124253,2
გრანტები		117000,0
გრანტები		1847,7
სხვა შემოსავლები		5405,5
არაფინანსური აქტივების კლება		8000,0

წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

2013 წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის იანვარი ივნისის შემოსულობებმა 65783,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 2105,0 ათასი ლარით აღემატება და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 49,7 პროცენტს შეადგენს.

**რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 2010-2013 წლების
იანვარ-ივნისის
(ათასი ლარი)**



**შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა
ფაქტობრივი შესრულება**

აქარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მიმდინარე წლის ექვს თვეში მიღებული შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა, 64 401,4 ათასი ლარი, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 51,8 პროცენტს შეადგენს და 1,5 პროცენტული პუნქტით აღემატება 2013 წლის 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებელს.


დინამიკა და ანალიზი

მიმდინარე წლის 6 თვეში მიღებული შემოსავლების მოცულობა, 2012 წლის შესაბამის პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 6750,8 ათასი ლარით.

2012 წლის 6 თვის პერიოდის მიხედვით შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიანი შემოსულობების 90,5 პროცენტს, მიმდინარე წელს კი - 97,9 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

2013 წლის იანვარ-ივნისის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზირებული
შემოსულობების სტრუქტურა




- შემოსავლები 64401.4 ათასი ლარი -97.9%
- არაფინანური აქტივების კლება - 1382.3 ათასი ლარი - 2.1%

საგადასახადო შემოსავლები საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 2013 წლის 6 თვეში 60523,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებელის 102,5 პროცენტი შეადგინა და 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6434,6 ათასი ლარით აღემატება.

2013 წლის 6 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 51,7 პროცენტს შეადგენს, რაც 2,1 პროცენტული პუნქტით აღემატება 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.


2012 წლის 6 თვეში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიანი შემოსავლების 93,8 პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე წელს კი ეს წილი 94,0 პროცენტია.

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2013 წლის იანვარ-ივნისში მობილიზებული შემოსავლების სტრუქტურა



- გადასახადები 60523.6 ათასი ლარი - 93.98%
- სხვა შემოსავლები 3721.0 ათასი ლარი - 5.78%
- * გრანტები -156.8 ათასი ლარი - 0.24%

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2012 წლის იანვარ-ივნისში მობილიზებული შემოსავლების სტრუქტურა



- გადასახადები 54089.0 ათასი ლარი - 93.82%
- სხვა შემოსავლები 3163.8 ათასი ლარი - 5.49%
- * გრანტები -397.8 ათასი ლარი - 0.69%

გრანტები

2013 წლის 6 თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში, გრანტების სახით მიღებულია 156,8 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან გამოყოფილი სახსრების სახით მიღებულია- 137,6 ათასი ლარი, რაც 6 თვის საბიუჯეტო გეგმის 14,4 პროცენტია და საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით - 19,2 ათასი ლარი, რაც 6 თვის საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტია. 2013 წლის 6 თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში, გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 241,8 ათასი ლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებიდან მობილიზებული თანხები (3721,0 ათასი ლარი) 2013 წლის 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული მოცულობის 109,9 პროცენტია და 557,2

ათასი ლარით აღემატება 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად საპროგნოზო მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისა, ადგილი აქვს ცალკეულ სახეებში საბიუჯეტო გეგმის შესრულებლობის ფაქტებს. კერძოდ: რენტის სახით მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 49,9 პროცენტით (გეგმა 127,0 ათასი ლარი, ფაქტი 63,4 ათასი ლარი) და ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 57,2 პროცენტით (გეგმა 75,0 ათასი ლარი, ფაქტი 42,9 ათასი ლარი).

არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად
მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების
შესრულების მდგომარეობა

არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული თანხების ოდენობამ 1382,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის 6 თვის პროგნოზის 102,4 პროცენტია და 4645,8 ათასი ლარით ნაკლებია 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

2013 წლის 6 თვეში ძირითადი აქტივების პრივატიზების შედეგად მიღებულია 394,9 ათასი ლარი, რაც ამავე პერიოდის პროგნოზის 101,5 პროცენტია და 757,4 ათასი ლარით ნაკლებია 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. არამწარმოებული აქტივების (მიწა) პრივატიზებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 95,4 პროცენტით, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 47,7 ათასი ლარი და ის 3888,5 ათასი ლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

6
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

ვალდებულებების ზრდის შედეგად მისაღები შემოსულობების
მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
ინფორმაციით 2013 წლის 6 თვეში, ისევე როგორც 2012 წლის შესაბამის პერიოდში,
ვალდებულებების ზრდას ადგილი არ ჰქონდა.

2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამისად გადასახდელების საპროგნოზო
მოცულობა 157 003,5 ათასი ლარით განისაზღვრა.

ათასი ლარი

შრომის ანაზღაურება	16766,9
საქონელი და მომსახურება	18435,8
პროცენტი	403,2
სუბსიდიები	28159,2
გრანტები	22634,1
სოციალური უზრუნველყოფა	6069,7
სხვა ხარჯები	16928,4
სულ ხარჯები	109397,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	27328,2
ვალდებულებების კლება	2590,6
საბელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	139316,1

დაგეგმილი გადასახდელების მაჩვენებლების შესრულება


2013 წლის 6 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასახდელების სახით
გადახდილი თანხების ფაქტიურმა მოცულობამ 42602,0 ათასი ლარი, ანუ 6 თვის
საპროგნოზო მაჩვენებლის 65,7 პროცენტი, ხოლო წლიური გეგმის 30,6 პროცენტი
შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 16318,2 ათასი ლარით ნაკლებია გასული წლის
ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამებიდან ჩანს, გასული წლის ანალოგიურ
პერიოდთან შედარებით შემცირდა ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის
მუხლით გადახდილი თანხების ხვედრითი წილი გადასახდელების საერთო მოცულობაში

/7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

შესაბამისად 4,2 და 1,72 პროცენტული პლატფორმით, ამავე დროს 5,9 პროცენტული პლატფორმით გაიზარდა ვალდებულების კლების სახით გადახდილი თანხების ხვედრითი წილი.




ხარჯები

როგორც უკვე აღინიშნა, გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიური მოცულობის 81,0 პროცენტი (34519,5 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 31,6 პროცენტს შეადგენს. ამავე პერიოდში სხვა გადასახდელების სახით გადახდილი იქნა 8082,5 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, 6 თვის პროგნოზთან (49667,4 ათასი ლარი) შედარებით დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ 15147,9 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლი დაუფინანსებელია 250,8 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 1,7 პროცენტი; საქონელისა და მომსახურების მუხლი - 3205,2 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 21,2 პროცენტი; პროცენტის მუხლი - 87,3 ათასი ლარი, დაუფინანსებელი საერთო თანხის 0,6 პროცენტი; სუბსიდიები - 1483,4 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 9,8 პროცენტი; გრანტები - 7018,6 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 46,3 პროცენტი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლი - 585,9 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 3,9 პროცენტი და სხვა ხარჯების მუხლი - 2516,6 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 16,5 პროცენტი.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

2012 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური
კლასიფიკაციის მიხედვით



- შრომის ანაზღაურება 7708.2 ათ. ლარი - 15.3%
- საქონელი და მომსახურება 8040.3 ათ. ლარი - 16.0%
- პროცენტები 86.1 ათ. ლარი - 0.2%
- სუბსიდიები 13012.3 ათ. ლარი - 25.9%
- გრანტები 16851.7 ათ. ლარი - 33.6%
- სოციალური უზრუნველყოფა 2138.9 ათ. ლარი - 4.3%
- სხვა ხარჯები 2386.7 ათ. ლარი - 4.8%

2013 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური
კლასიფიკაციის მიხედვით



- შრომის ანაზღაურება 8221.7 ათ. ლარი - 23.8%
- საქონელი და მომსახურება 6445.1 ათ. ლარი - 18.7%
- პროცენტები 114.3 ათ. ლარი - 0.3%
- სუბსიდიები 12864.2 ათ. ლარი - 37.3%
- გრანტები 880.6 ათ. ლარი - 2.6%
- სოციალური უზრუნველყოფა 2775.5 ათ. ლარი - 8.0%
- სხვა ხარჯები 3218.1 ათ. ლარი - 9.3%

მიმდინარე წლის 6 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია ხარჯები, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ისეთი მუხლების მიხედვით როგორიცაა: შრომის ანაზღაურების მუხლი - 513,4 ათასი ლარით, პროცენტი - 28,1 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 636,6 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 831,4 ათასი ლარით. ამავე დროს ხარჯები შემცირებულია საქონელისა და მომსახურების მუხლით - 1595,2 ათასი ლარით, სუბსიდიები - 148,1 ათასი ლარით და გრანტები - 15971,1 ათასი ლარით.

10

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და პროგრამების (დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების ჩათვლით) მიხედვით, 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის გეგმის შესრულება შემდეგი სახისაა:

დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების პროცენტი
აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო	2147.3	1956.7	190.6	91.1
საარჩევნო ადმინისტრაცია	295.8	285.7	10.1	96.6
აჭარის ა.რ. მთავრობა	14411.7	8952	5459.7	62.1
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	4608.1	4061.7	546.4	88.1
საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მრთვა	1175.0	749.8	425.2	63.8
აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	14938.1	12053.2	2884.9	80.7
აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	4573.0	3912.6	660.4	85.6
აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2864.9	2789.8	75.1	97.4
უმაღლესი განათლება და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	2099.4	1589.4	510	75.7
დასვენებისა და კულტურის ობიექტების განვითარების ხელშეწყობა	4057.5	2068.1	1989.4	51.0
საგამომცემლო და ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა	294.6	273.8	20.8	92.9
საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მრთვა	1179.7	107.5	1072.2	9.1
საერთო დაწიწვულების რეგიონალური გადასახდელები	12215.3	3801.5	8413.8	31.1
ჯამი	64860.4	42601.8	22258.6	65.7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის 6 თვის ასიგნებების გეგმა 4608,1 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდში საკასო შესრულება 4061,7 ათას ლარს შედაგენს, ანუ გეგმა შესრულებულია 88,1 პროცენტით და გეგმის შესრულებას დააკლდა 546,4 ათასი ლარი. მათ შორის: სამინისტროს ადმინისტრაციის ასიგნების გეგმა შესრულებულია 74,8 პროცენტით (გეგმა 1878,0 ათასი ლარი, ფაქტი 1403,9 ათასი ლარი), სახაზინო სამსახურის - 94,7 პროცენტით (გეგმა 109,9 ათასი ლარი, ფაქტი 104,1 ათასი ლარი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემის შემუშავების - 78,4 პროცენტით (გეგმა 72,3 ათასი ლარი, ფაქტი 56,7 ათასი ლარი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სოციალური სახლების მშენებლობა და ამ კუთხით არსებული შენობების რეაბილიტაციის - 98 პროცენტით (გეგმა 2547,9 ათასი ლარი, ფაქტი 2495,0 ათასი ლარი).

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნების შესრულების შემდეგი მაჩვენებლებია: შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გეგმა შესრულებულია 93,8 პროცენტით (გეგმა 1989,9 ათასი ლარი, ფაქტი 1538,9 ათასი ლარი), საქონელისა და მომსახურების მუხლი -52,5 პროცენტით (გეგმა 618,5 ათასი ლარი, ფაქტი 324,9 ათასი ლარი), სოციალური

უზრუნველყოფის - 62,5 პროცენტით (გეგმა 12,0 ათასი ლარი, ფაქტი 7,5 ათასი ლარი), სხვა ხარჯების - 52,3 პროცენტით (გეგმა 165,3 ათასი ლარი, ფაქტი 86,4 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების -96,3 პროცენტით (გეგმა 2604,0 ათასი ლარი, ფაქტი 2508,5 ათასი ლარი), ვალდებულებების -100 პროცენტით (გეგმა და ფაქტი 14,3 ათასი ლარი).

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2013 წლის 6 თვეში გაწეული საკასო ხარჯი გაზრდილია სხვა ხარჯების მუხლით - 64,3 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლით - 1871,9 ათასი ლარით, ამავე პერიოდში შემცირებულია საკასო ხარჯი საქონელი და მომსახურების მუხლით - 483,2 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით - 1.9 ათასი ლარით, ვალდებულებების მუხლით - 1,2 ათასი ლარით და შრომის ანაზღაურების მუხლით - 0,2 ათასი ლარით.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფაქტობრივი შესრულება

წლიური ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 6 თვისათვის დაგეგმილი გადასახდელების საკასო შესრულებამ 40011,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 64,3 პროცენტი, ხოლო წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული პარამეტრის 29,3 პროცენტი შეადგინა.

დინამიკა და ანალიზი

2013 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმის შესრულების საშუალო დონესთან შედარებით (64,3%) ჩამორჩენა შეიმჩნევა დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის ისეთი სფეროების მიხედვით როგორიცაა: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება-42,2 პროცენტი (გეგმა 17374,0 ათასი ლარი, ფაქტი 7340,3 ათასი ლარი), გარემოს დაცვა - 51,8 პროცენტი (გეგმა 1147,0 ათასი ლარი, ფაქტი 594,3 ათასი ლარი) და ეკონომიკური საქმიანობა - 58 პროცენტი (გეგმა 11885,4 ათასი ლარი, ფაქტი 6894,5 ათასი ლარი). დაფინანსების შედარებით მაღალი დონით გამოირჩევიან ისეთი სფეროები, როგორიცაა: საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 98 პროცენტი (გეგმა 2547,9 ათასი ლარი, ფაქტი 2497,0 ათასი ლარი), განათლება -88,4 პროცენტი (გეგმა 8659,5 ათასი


31

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტური ანგარიშების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

ლარი, ფაქტი 7652,4 ათასი ლარი), ჯანმრთელობის დაცვა - 87,7 პროცენტი (გეგმა 4211,1 ათასი ლარი, ფაქტი 3693,7 ათასი ლარი) და დასვენება, კულტურა და რელიგია - 69,6 პროცენტი (გეგმა 14909,2 ათასი ლარი, ფაქტი 10371,5 ათასი ლარი).

ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის
ფუნქციონალური სტრუქტურა

2012 წლის 6 თვე




- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება 26013.5
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება -2475.3 ათ. ლარი -4.2%
- ეკონომიკური საქმიანობა 8407.0 ათ. ლარი -14.3%
- გარემოს დაცვა 880.3 ათ. ლარი -1.5%
- საბინაო კომუნალური 215.8 ათ. ლარი -0.4%
- ჯანმრთელობის დაცვა 3057.3 ათ. ლარი -5.2%
- დასვენება, კულტურა და რელიგია 10868.1 ათ. ლარი - 18.5%
- განათლება 6696.1 ათ. ლარი -11.4%

©
84

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის შაჩვენებლის
ფუნქციონალური სტრუქტურა

2013 წლის 6 თვე



- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება 7340.3 ათ. ლარი - 18.5%
- სამსახურების დაცვი 749.8 ათ. ლარი - 1.9%
- ეკონომიკური საქმიანობა 6894.5 ათ. ლარი - 17.4%
- გარმოს დაცვა 594.3 ათ. ლარი - 1.5%
- საბინაო კომუნალური შეურნეობა - 2497.0 ათ. ლარი - 6.3%
- განმრთელობის დაცვა 3693.7 ათ. ლარი - 9.3%
- დასვენება, კულტურა და რელიგია 10371.5 ათ. ლარი - 26.1%
- განათლება 7352.4 ათ. ლარი - 18.5%
- სოციალური დაცვა 217.8 ათ. ლარი - 0.5%

სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდის მოცულობა 1613,0 ათასი ლარით განისაზღვრა. 2013 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯი 434,9 ათას ლარს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან თანხები 20 შემთხვევაში გამოყოფილია ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, რომლის დანიშნულებისამებრ გამოყენების მდგომარეობა შესაბამის დაწესებულებებში უნდა შემოწმდეს.

მიმღების დასახელება	ათასი ლარი
აჭარის ა.რ. განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	42,1
აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	112,2
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები	280,6
სულ:	434,9

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი


ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ტრანსფერის მაჩვენებლების შესრულება

2013 წელს 6 თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური
ტრანსფერის მოცულობა 7899,2 ათასი ლარით განისაზღვრა. მათ შორის: თვითმმართველი
ქალაქი ბათუმი - 1926,8 ათასი ლარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 3003,9 ათასი
ლარი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 671,1 ათასი ლარი, ქედის მუნიციპალიტეტი -
1559,3 ათასი ლარი, შუახევის მუნიციპალიტეტი - 452,1 ათასი ლარი და ხულოს
მუნიციპალიტეტი - 286,0 ათასი ლარი.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური
ტრანსფერის 2013 წლის 6 თვის გეგმური მაჩვენებელი 11,1 პროცენტით შესრულდა, ანუ
გეგმის შესრულებას დააკლდა 7018,6 ათასი ლარი. კერძოდ: ქობულეთის
მუნიციპალიტეტს გადაეცა 115,1 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 3,8 პროცენტი,
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს - 33,1 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 4,9 პროცენტი,
ქედის მუნიციპალიტეტს - 617,3 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 39,6 პროცენტი,
შუახევის მუნიციპალიტეტს - 45,1 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 10 პროცენტი და
ხულოს მუნიციპალიტეტს - 70,0 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 24,5 პროცენტი,
ხოლო თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის ბიუჯეტში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან
სპეციალური ტრანსფერის სახით თანხები ჩარიცხული არ არის.

დავალიანების დაფარვისა და ახალი დავალიანებების წარმოქმნის მდგომარეობა;

2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, რესპუბლიკის სახაზინო სამსახურის
მონაცემებით, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებად მხარჯავ დაწესებულებებზე
ირიცხებოდა 1811,6 ათასი ლარის დებიტორული და 331,4 ათასი ლარის კრედიტორული
დავალიანება.




34

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა
2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ერიცხებოდა 415,2 ათასი ლარის დებიტორული და 14,2 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. სანგარიშო პერიოდში დებიტორული დავალიანება შემცირდა 376,5 ათასი ლარით და ხოლო კრედიტორული დავალიანება - 6,6 ათასი ლარით და 2013 წლის 1 ივნისის მდგომარეობით შესაბამისად 38,7 ათასი და 7,6 ათასი ლარი შეადგინა. დებიტორული დავალიანება ერიცხება სს „ენერგო პრო-ჯორჯიას“ - 25,3 ათასი ლარი და სს „სადაზღვეო კომპანია „ალდაგი ბისიაის“ - 13,5 ათასი ლარი წინასწარ გადახდილი თანხების სახით, ხოლო კრედიტორული დავალიანება ერიცხება საფოსტო, კავშირგაბმულობისა და დაცვითი მომსახურებების სახეებში.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

 28. 10. 2013 წ.

სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი: დავით ბალაძე

1. გამოვლენილი გარემოება:

